ხელშეკრულება N01-38/143

29 ოქტომბერი 2015 წელი

ქ. ბათუმი

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად ერთის მხრივ სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო, უფროსის მ/შ ჯუმბერ აბულაძის სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ შპს „მეგა +"-ს დირექტორი ავთანდილ ფუტკარაძის შემდგომში ,,მიმწოდებელი" დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს საქონლის მიწოდება დანართი 1-ის შესაბამისად (რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელნაწილს), ხოლო ,,შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას მიიღოს აღნიშნული საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.
CPV 32324400 – 170 ლ
CPV31300000 - 10 ლ

1.2. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 180 (ას ოთხმოცი) ლარს.

2. მომსახურების მიღება-ჩაბარება

2.1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ დანართი 1 –ის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
2.2. მიღება ჩაბარებას ახორციელებენ სათანადო უფლებამოსილი პირები (მატერიალურ ტექნიკური სამსახურის სპეციალისტი ჯამლეთ ფაღავა), რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

3.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

3.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.
3.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
3.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) %-ის ოდენობით.

4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
4.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
5.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

5.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა, ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
5.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. უფლებათა გადაცემა

6.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არც მთლიანად, არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება.
7.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

8. ხელშეკრულებების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

8.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად და ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისთვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:
ა) მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელების ვადებში არ შეუძლია შეასრულოს მთელი სამუშაო ან მისი ნაწილი;
ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია არ შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაიმე ვალდებულება.
8.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისაგან.
8.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.
8.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და თანხის მიზნობრივად ხარჯვის კონტროლი.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

12. სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია 3(სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. აქედან ერთი ეგზემპლარი რჩება მიმწოდებელთან, ხოლო ორი ეგზემპლარი - შემსყიდველთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

<u>მიმწოდებელი</u>
შპს „მეგა +“
მის: ბათუმი, წერეთლის 43/48
ს/კ 447 860 814
ს.ს. „საქართველოს ბანკი“
ბ/კ: BAGEGE22
ა/ნ GE70BG0000000500000600

დირექტორი
ავთანდილ ფუტკარაძე

შემსყიდველი

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო
მის: ქ.ბათუმი, ვახტანგ გორგასალის ქ. 124
მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ანგარიშის N 740397499
მ/ბ სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22
ს/კ 245631428

სააგენტოს უფროსის მ/შ
ჯუმბერ აბულაძე

დანართი 2015 წლის 29 ოქტომბრის N01-38/143 ხელშკრულებაზე

დანართი 1

მოსაწოდებელი საქონლის დასახელება და ფასების ცხრილი

საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა
სატელიტური თეფში 87/97 OOF	2ც	40ლ	80 ლარი
სატელიტური თეფშის მიმღების თავი LNB NEXT YE-333	2ც	7,5 ლ	15 ლარი
დისეკი NEXT	1 ც	5 ლ	5 ლარი
სატელიტური თეფშის მიმღები(resever)neosat sx1600 plus	1ც	70 ლ	70 ლ
სატელიტური ანტენის სადენი	20 მეტრი	0,5	10 ლ
ს უ ლ	180 ლარი		

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს უფროსის მ/შ ჯუმბერ აბულაძე

შპს „მეგა +"-ს დირექტორი ავთანდილ ფუტკარაძე